

შპს ქოლორ მასტერი (ს/ნ 404877530)

სააღრიცხვო პოლიტიკა და ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები 2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

1. ზოგადი ინფორმაცია

ქოლორ მასტერი შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებაა, რომელიც რეგისტრირებულია საქართველოში 2010 წლის 03 ნოემბერს. კომპანიის იურიდიული და ფაქტობრივი მისამართი არის ქ. თბილისი აკაკი წერეთლის გამზირი № 115დ. კომპანიის საქმიანობის ძირითადი მიმართულებაა სხვადასხვა იმპორტირებული ქიმიური საქონლით (ავტომანქანის საღებავები და დამხმარე მასალები) ვაჭრობა.

2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბუთის მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად. იგი წარმოდგენილია საქართველოს ფულად ერთეულში ლარში.

ინვესტიციები მეკავშირე საწარმოებში

კომპანიას მეკავშირე საწარმოები არ გააჩნია.

ამონაგების აღიარება

საქონლის მიწოდებიდან ამონაგების აღიარება ხდება იმ შემთხვევაში, როდესაც მყიდველზე გადაცემულია საქონელი და მასზე საკუთრების უფლება. ამ დროს კომპანიაში ეკონომიკური სარგებლის შემოდინების ალბათობა მაღალია და შესაძლებელია მისი სანდო შეფასება განურჩევლად იმისა, თუ როდის განხორციელდა გადახდა. შემოსავლების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით, გადახდის ხელშეკრულებით განსაზღვრული ვადების გათვალისწინებით და გადასახადებისა და მოსაკრებლების გამოკლებით.

ხარჯების აღიარება

კომპანია გასწევს ხარჯებს საქმის წარმოებაზე თავის საოპერაციო საქმიანობის პროცესში. ხარჯების აღიარება ხდება იმ შემთხვევაში, თუ წარმოიშობა შემცირება მომავალი ეკონომიკური სარგებლისა, რაც დაკავშირებულია აქტივის შემცირებას ან ვალდებულების ზრდასთან, რაც შეიძლება საიმედოდ განისაზღვროს. ხარჯების აღიარება ხდება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში, გაწეული ხარჯებისა და შემოსავლების შორის უშუალო შეპირისპირების საფუძველზე, შემოსავლების კონკრეტული მუხლების მიხედვით. თუკი ეკონომიკური სარგებლის წარმოშობა მოსალოდნელია რამდენიმე საანგარიშო პერიოდის მანძილზე და კავშირი შემოსავალთან შეიძლება მოიძებნოს მთლიანად ან ნაწილობრივ, მაშინ მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში ხარჯის აღიარება მოხდება რაციონალური გადანაწილების მეთოდით. ხარჯის აღიარება ხდება დაუყოვნებლივ, თუ ხარჯი აღარ ქმნის მომავალ ეკონომიკურ სარგებელს, ან როცა მომავალი ეკონომიკური სარგებელი არ შეესაბამება ან აღარ შეესაბამება ბალანსში აქტივად აღიარების მოთხოვნებს.

ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

კომპანიის ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ლარში, რაც მისი სამუშაო ვალუტაა. უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები აღირიცხება სამუშაო ვალუტაში, რომლის კონვერტაცია ხდება ოპერაციის დღეს არსებული კურსით. უცხოურ ვალუტაში გამოხატული ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების კონვერტაცია ლარში ხდება ანგარიშგების თარიღისთვის საქართველოს ეროვნული ბანკის („სებ“) ოფიციალური გაცვლითი კურსით. უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციების კონვერტაციით გამოწვეული მოგება და ზარალი აისახება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, როგორც კურსთაშორისი სხვაობიდან მიღებული წმინდა შემოსულობა/(ზარალი). არაფულადი მუხლების კონვერტაცია, რომლებიც პირვანდელი ღირებულებით აღირიცხება უცხოურ ვალუტაში, ხდება თავდაპირველი ოპერაციის დღეს არსებული გაცვლითი კურსით. არაფულადი მუხლები, რომლებიც სამართლიანი ღირებულებით აღირიცხება უცხოურ ვალუტაში, კონვერტირდება იმ დღის გაცვლითი კურსით, როდესაც მოხდა სამართლიანი ღირებულების დადგენა.

სესხის სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები

სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები მოიცავს ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით გაანგარიშებულ საპროცენტო ხარჯს და აისახება ფინანსურ დანახარჯებში.

მოგების გადასახადი

საწარმოების მიერ მიღებული წლიური მოგება, გარდა ბანკებისა, სადაზღვევო კომპანიებისა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა, 2017 წლის 1 იანვრიდან არ იბეგრება საქართველოში. მოგების გადასახადით იბეგრება დივიდენდების სახით იმ აქციონერებზე/პარტნიორებზე განაწილებული მოგება, რომლებიც არიან ფიზიკური ან არარეზიდენტი პირები საქართველოში. მოგების გადასახადის გაანგარიშება ხდება წმინდა განაწილების 15/85 განაკვეთით. დივიდენდების გადახდიდან წარმოშობილი მოგების გადასახადი აღირიცხება იმ პერიოდის ვალდებულებებსა და ხარჯებში, რომელშიც მოხდა დივიდენდების გამოცხადება, მიუხედავად იმისა, თუ რა თარიღში ან რომელი პერიოდისთვის ხდება დივიდენდების გადახდა. კონკრეტულ გარემოებებში შესაძლებელია გადასახდელი მოგების გადასახადში გამოქვითვების განხორციელება, რომლებიც აღირიცხება შესაბამის განაწილებასთან დაკავშირებით მოგების გადასახადის ხარჯის შემცირების სახით. საქართველოს საგადასახადო სისტემის ბუნებიდან გამომდინარე საქართველოში რეგისტრირებულ საწარმოებს არ წარმოეშვება გადავადებული საგადასახადო აქტივი და ვალდებულება. კომპანიის პარტნიორებისთვის გასანაწილებელ დივიდენდებზე გადასახდელი გადასახადის დაკავების აღიარება ხდება კაპიტალიდან გამოქვითვის სახით, კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგებაში. საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობა ასევე ითვალისწინებს მოგების გადასახადით გარკვეული ოპერაციების დაბეგვრას, რომლებიც შეიძლება ჩაითვალოს მოგების განაწილებად (მაგალითად, არასაბაზრო ფასებით აღრიცხული გარიგებები, ბიზნეს საქმიანობასთან დაუკავშირებელი ხარჯები, ან საქონლისა და მომსახურების უსასყიდლო მიწოდება). ამგვარი გარიგებების დაბეგვრა აღირიცხება საოპერაციო გადასახადების ანალოგიურად და მათი აღიარება ხდება სხვა საოპერაციო ხარჯების ნაწილში.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების შეფასება ხდება დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულების თანხით. ცვეთის დარიცხვა ხდება ნარჩენი ღირებულებით შემცირებული აქტივების თვითღირებულების განაწილების მიზნით მათი სავარაუდო სასარგებლო მომსახურების ვადაზე, წრფივი მეთოდის გამოყენებით. ძირითად საშუალებებზე ცვეთის დარიცხვისათვის გამოიყენება შემდეგი წლიური განაკვეთები:

შენობა-ნაგებობები:	4 პროცენტი
მანქანა-დანადგარები და მოწყობილობა	10-30 პროცენტი

თუ გაჩნდება რაიმე ნიშანი იმისა, რომ ცვეთის ნორმა, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა, ან ნარჩენი ღირებულება მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით, მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება პერსპექტიულად.

არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივები წარმოადგენს შემენილ კომპიუტერულ პროგრამულ უზრუნველყოფასა და ვებგვერდს, რომელიც ასახულია დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულებით. მისი ამორტიზება ხდება წრფივი მეთოდით აქტივის სასარგებლო მომსახურების შეფასებული ვადის განმავლობაში, რომელიც ხუთ წელს შეადგენს. თუ გაჩნდება რაიმე ნიშანი იმისა, რომ ამორტიზაციის ნორმა, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა, ან ნარჩენი ღირებულება მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით, მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება პერსპექტიულად.

აქტივების გაუფასურება

ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის ტარდება ძირითადი საშუალებების განხილვა, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა რაიმე ნიშანი იმისა, რომ აღნიშნული აქტივები გაუფასურებულია. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს შესაძლო გაუფასურების ნიშანი, შეფასდება ნებისმიერი აქტივის (ან დაკავშირებულ აქტივთა ჯგუფის) ანაზღაურებადი ღირებულება და შეუდარდება მის საბალანსო ღირებულებას. თუ შეფასებული ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია, საბალანსო ღირებულება შემცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

ანალოგიურად, ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის შეფასდება სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების გაუფასურება, რისთვისაც სასაქონლო-მატერიალური ფასეულობის თითოეული ერთეულის (ან ანალოგიური ერთეულების ჯგუფის) საბალანსო ღირებულება შეუდარდება მისი დასრულებისა და რეალიზაციისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასს. თუ სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების ერთეული (ან ანალოგიური ერთეულების ჯგუფი) გაუფასურებულია, მისი საბალანსო ღირებულების შემცირება ხდება პროდუქციის დასრულებისა და რეალიზაციისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში, ან ზარალში.

იმ შემთხვევაში, თუ შემდგომში მოხდება გაუფასურების ზარალის აღდგენა/კომპენსირება, აქტივის (ან მსგავსი აქტივის ჯგუფის) საბალანსო ღირებულება გაიზრდება აქტივის ანაზღაურებადი ღირებულების (სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების შემთხვევაში - პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებული სარეალიზაციო ფასის) შესწორებულ შეფასებულ სიდიდემდე, მაგრამ არ გაიზრდება იმ თანხაზე მეტად, რომელიც განისაზღვრებოდა იმ შემთხვევაში, თუ წინა წლებში არ მოხდებოდა აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) გაუფასურების ზარალის აღიარება. გაუფასურების ზარალის აღდგენის (კომპენსირების) თანხა დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში, ან ზარალში.

იჯარა

იჯარა ფინანსურ იჯარად კლასიფიცირდება მაშინ, როდესაც იჯარის პირობები ითვალისწინებს იჯარით გაცემული აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული ფაქტობრივად ყველა რისკისა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას ჯგუფისთვის. ყველა სხვა იჯარა კლასიფიცირდება საოპერაციო (ჩვეულებრივ) იჯარად.

ფინანსური იჯარით მფლობელობაში მყოფ აქტივებზე უფლებები აღიარდება, როგორც კომპანიის აქტივები, იჯარით აღებული ქონების რეალური ღირებულების ტოლი თანხით (ან, თუ მასზე ნაკლებია, მინიმალური საიჯარო გადასახდელების დისკონტირებული ღირებულებით), რომელიც განისაზღვრება იჯარის დასაწყისში. მეიჯარის მიმართ შესაბამისი ვალდებულება აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, როგორც ფინანსური იჯარის ვალდებულება. საიჯარო გადასახდელები ნაწილდება დარიცხულ ფინანსურ ხარჯებსა და საიჯარო ვალდებულების შემცირებას შორის ისე, რომ წარმოიქმნება მუდმივი საპროცენტო განაკვეთი ვალდებულების დაუფარავი ნაშთის მიმართ. დარიცხული ფინანსური ხარჯები აკლდება მოგების ან ზარალის შეფასებას. ფინანსური იჯარით მფლობელობაში მყოფი აქტივები ჩაითვლება ძირითად საშუალებებში და მათაც ისევე დაერიცხება ცვეთა და ისევე ხდება მათი გაუფასურების ზარალის შეფასება, როგორც საწარმოს საკუთრებაში არსებული აქტივებისთვის.

ჩვეულებრივი იჯარის ფარგლებში გადასახდელი საიჯარო გადასახდელები აისახება მოგებაში, ან ზარალში წრფივი მეთოდით, შესაბამისი იჯარის ვადის განმავლობაში.

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების აღიარება ხდება თვითღირებულებასა და პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასს შორის უმცირესი თანხით. თვითღირებულება გაიანგარიშება საშუალო შეწონილი ფასის მეთოდით.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

რეალიზაცია, ძირითადად, ხორციელდება ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით და დებიტორულ დავალიანებას პროცენტი არ ერიცხება. იმ შემთხვევაში, როდესაც საკრედიტო ვადები აღემატება ჩვეულებრივ საკრედიტო ვადებს, მოთხოვნის შეფასება ხდება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გაანალიზდება სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულებები, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ეს თანხები არ არის ამოღებადი. ამგვარი მტკიცებულების არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით აღებულ ვალდებულებებს და პროცენტი არ ერიცხება. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისათვის არსებული სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

დაქირავებულ მომუშავეთა გასამრჯელოები

გადასახდელი ხელფასები, წლიური შვებულება და ავადმყოფობის გამო შვებულებით სარგებლობა, პრემიები და სხვა სარგებელი (საკვები, ბინით უზრუნველყოფა, ტრანსპორტირება, და სხვა) დაირიცხება იმ პერიოდის განმავლობაში, როდესაც მათთან დაკავშირებული მომსახურების მიწოდებას განახორციელებენ კომპანიის დაქირავებული მომუშავეები.

2019 წლიდან საქართველოში ამოქმედდა კანონი დაგროვებითი პენსიის შესახებ. აღნიშნული კანონის მიხედვით კომპანიას გაუჩნდა იურიდიული ვალდებულება განახორციელოს საპენსიო გადასახადი დაგროვებითი პენსიის სქემაში ჩართული თანამშრომლების სასარგებლოდ. ეს გადასახადი შეადგენს დარიცხული ხელფასის 2%-ს, რაც კომპანიისათვის დამატებითი ხარჯია, რომელიც აისახება სხვა (ადმინისტრაციულ) ხარჯებში.

საქმიანობის შედეგები

მოგება - ზარალის ანგარიშგება

	შენიშვნა	2023	2022
ნეტო ამონაგები			
ამონაგები საქონლის გაყიდვიდან	3	9,320,928	8,400,214
ამონაგები მომსახურების გაწევიდან	3	25,627	34,832
თვითღირებულება		(6,851,736)	(6,157,061)
საერთო მოგება		2,494,818	2,277,985
სხვა შემოსავლები	4	84,676	47,412
დასაქმებულთა ანაზღაურება	5	(103,654)	(74,155)
ცვეთა და ამორტიზაცია		(37,955)	(38,092)
იჯარის ხარჯი	6	(18,000)	(18,000)
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	7	(53,917)	(60,375)
მიწოდების დანახარჯები		(5,114)	-
სხვა შემოსულობები/(ზარალი) - წმინდა	8	(36,685)	169,062
სხვა ხარჯები		(1,443)	(80,865)
საოპერაციო მოგება		2,322,726	2,222,972
ფინანსური შემოსავალი		-	-
ფინანსური ხარჯი	9	(19,106)	(23,686)
ფინანსური ხარჯი - წმინდა		(19,106)	(23,686)
მოგება დაბეგვრამდე		2,303,620	2,199,286
მოგების გადასახადი	10	(266,471)	(347,647)
წმინდა მოგება		2,037,149	1,851,639
სხვა სრული შემოსავალი:			
შემოსულობა მიწისა და შენობების გადაფასებიდან, გადასახადების გამოკლებით		-	-
მთლიანი სრული შემოსავალი		2,037,149	1,851,639
საკუთარი კაპიტალის საწყისი ნაშთი (პერიოდის საწყისი ნაშთი)			
გადასახდელი დივიდენდი	11	(1,510,000)	(1,970,000)
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში		-	-
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს		4,155,663	3,628,514

ფინანსური მდგომარეობის უწყისი

	შენიშვნა	31/12/2023	31/12/2022	31/12/2021
აქტივები				
მოკლევადიანი აქტივები				
ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები	12	124,110	108,612	1,276,461
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	13	735,144	539,089	680,982
წინასწარ გადახდილი გადასახადები	14	24,067	0	0
მარაგები	15	4,397,894	4,321,379	3,035,141
მისაღები დივიდენდები და პროცენტები		0	0	0
		5,281,215	4,969,079	4,992,584
გრძელვადიანი აქტივები				
ძირითადი საშუალებები	16	157,272	300,464	316,458
საინვესტიციო ქონება		0	0	0
არამატერიალური აქტივი	17	0	0	138
გადავადებული საგადასახადო აქტივი		0	0	0
ინვესტიციები მეკავშირე საწარმოში		0	0	0
		157,272	300,464	316,595
მთლიანი აქტივები		5,438,487	5,269,544	5,309,180
ვალდებულებები				
მოკლევადიანი ვალდებულებები				
მოკლევადიანი სესხები		0	0	0
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	18	1,227,097	1,115,895	797,416
საგადასახადო ვალდებულებები	19	0	1,360	77,998
გადასახდელი პროცენტი		0	0	0
გადასახდელი დივიდენდი		0	0	0
		1,227,097	1,117,255	875,415
გრძელვადიანი ვალდებულებები				
გრძელვადიანი სესხები	20	55,728	523,775	686,891
ანარიცხები		0	0	0
გადავადებული შემოსავალი		0	0	0
		55,728	523,775	686,891
მთლიანი ვალდებულებები		1,282,825	1,641,030	1,562,306
მთლიანი კაპიტალი				
საწესდებო კაპიტალი	21	11,000	11,000	11,000
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)		4,144,663	3,617,514	3,735,874
გადაფასების რეზერვი		0	0	0
		4,155,663	3,628,514	3,746,874
მთლიანი კაპიტალი & ვალდებულებები		5,438,487	5,269,544	5,309,180
შემოწმება				
		-	-	-

განმარტებითი შენიშვნები

შენიშვნა: 3

ამონაგები

	2023	2022
ამონაგები საქონლის გაყიდვიდან	9,320,928	8,400,214
ამონაგები მომსახურების გაწევიდან	25,627	34,832
სულ	9,346,555	8,435,046

შენიშვნა: 4

სხვა შემოსავალი

	2023	2022
ძირითადი საშუალების გაყიდვის შედეგი	3,500	47,391
უსასყიდლოდ მიღებული საქონელი	81,175	21
მომწოდებლისგან მიღებული კომპენსაცია წუნდებული საქონლის გამო	0	0
სულ	84,676	47,412

აღნიშნული შემოსავლის წყაროა გასხვისებული ძირითადი საშუალება და მომწოდებლისგან უსასყიდლოდ მიღებული საქონელი

შენიშვნა: 5

დასაქმებულთა ანაზღაურება

	2023	2022
ხელფასები	(103,654)	(74,155)
სულ	(103,654)	(74,155)

კომპანიის სახელფასო დანახარჯებს წარმოადგენს ხელმძღვანელობაზე, ადმინისტრაციაზე და მუშა პერსონალზე გაცემული ანაზღაურება.

შენიშვნა: 6

საოპერაციო იჯარა

	2023	2022
იჯარის ხარჯი	(18,000)	(18,000)
სულ	(18,000)	(18,000)

კომპანიას საოპერაციო იჯარით აღებული აქვს სასაწყობო და საოფისე ფართი, რომელზეც აწარმოებს საქმიანობას. საიჯარო ქირის ხარჯად აღიარება ხდება წრფივი მეთოდით წლის განმავლობაში.

შენიშვნა: 7

სხვა ხარჯები

	2023	2022
საოფისე ხარჯები (ჩართულია სხვა ხარჯებში)	(2,499)	(2,855)
კომუნიკაციის ხარჯები (ჩართულია სხვა ხარჯებში)	(2,493)	(1,805)
კომუნალური ხარჯები (ჩართულია სხვა ხარჯებში)	(2,902)	(2,956)
ბანკის მომსახურების ხარჯები (ჩართულია სხვა ხარჯებში)	(12,157)	(19,857)
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	(33,866)	(32,901)
სულ	(53,917)	(60,375)

ეს მუხლები აღიარებულია ხარჯად მოგებაზე დაბეგვრის განსაზღვრის მიზნებისათვის

შენიშვნა: 8**სხვა შემოსულობები/(ზარალი) - წმინდა**

	2023	2022
საკურსო სხვაობით მიღებული მოგება/(ზარალი)	(36,685)	169,062
სულ	(36,685)	169,062

აღნიშნული განპირობებულია სავალუტო ოპერაციებთან დაკავშირებული ფულადი მუხლების გადაფასების და კონვერტაციის შედეგად წარმოშობილ სხვაობებით გამოწვეულ მოგება/ზარალთან

შენიშვნა: 9**ფინანსური შემოსავალი და ხარჯი**

	2023	2022
ფინანსური შემოსავალი	0	0
ფინანსური ხარჯი	(19,106)	(23,686)
სულ	(19,106)	(23,686)

ფინანსური ხარჯი განპირობებულია საბანკო სესხზე დარიცხული (გადახდილი) პროცენტის ხარჯით.

შენიშვნა: 10**მოგების გადასახადის ხარჯი**

	2023	2022
მოგების გადასახადი	(266,471)	(347,647)
სულ	(266,471)	(347,647)

შენიშვნა: 11**დივიდენდები**

	2023	2022
გაცემული დივიდენდი	(1,510,000)	(1,970,000)
სულ	(1,510,000)	(1,970,000)

დივიდენდის აღიარება ხდება ვალდებულების სახით და გამოიქვითება კაპიტალიდან იმ პერიოდში, რომელშიც ხდება მათი გამოცხადება და დამტკიცება.

შენიშვნა: 12**ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები**

	2023	2022
ფულადი სახსრები სალაროში	55,388	52,524
ფული საბანკო ანგარიშებზე	68,722	56,087
სულ	124,110	108,612

კომპანიის ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები განთავსებულია საქართველოს კომერციულ ბანკებში.

შენიშვნა: 13

სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები

	2023	2022
მოთხოვნები დებიტორული დავალიანებიდან	429,555	415,203
მომწოდებელზე გადახდილი ავანსები	305,589	123,886
სულ	735,144	539,089

შენიშვნა: 14

წინასწარ გადახდილი გადასახადები

	2023	2022
წინასწარ გადახდილი დღგ	24,067	0
სულ	24,067	0

2022 წლის ბოლოსთვის წინასწარ გადახდილი გადასახადის (მაგ. საქონლის იმპორტზე წინასწარ გადახდილი გადასახადები) ნაშთი არ არსებობს.

შენიშვნა: 15

სასაქონლო მატერიალური ფასეულობები

	2023	2022
გასაყიდი საქონელი	4,389,085	4,314,483
სხვა სასაქონლო მარაგები	8,809	6,896
სულ	4,397,894	4,321,379

შენიშვნა: 16

ძირითადი საშუალებები

	მიწის ნაკვეთები	შენობები	მანქანა-დანადგარები	ოფისის აღჭურვილობა	ავეჯი და სხვა ინვენტარი	სატრანსპორტო საშუალებები	იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	სულ
31 დეკემბერი 2022	-	-	80,580	8,100	7,858	304,931	3,861	405,330
შემოსვლა	-	-	12,262	2,271	4,393	13,514	9,361	41,801
გადაფასება	-	-	-	-	-	(176,017)	-	-
გასვლა	-	-	-	-	-	(176,017)	-	(176,017)
31 დეკემბერი 2023	-	-	92,842	10,371	12,251	142,427	13,222	271,114
ცვეთა და გაუფასურება								
31 დეკემბერი 2022	-	-	(62,848)	(7,047)	(6,040)	(25,073)	(6,040)	(107,049)
პერიოდის ცვეთა	-	-	(11,863)	(569)	(1,270)	(22,906)	(1,270)	(37,878)
გასვლა	-	-	-	-	-	28,979	-	28,979
31 დეკემბერი 2023	-	-	(74,711)	(7,616)	(7,311)	(18,999)	(7,311)	(115,948)
წმინდა საბალანსო ღირებულება								
31 დეკემბერი 2022	-	-	17,732	1,053	1,817	279,858	(2,180)	298,281
31 დეკემბერი 2023	-	-	18,131	2,755	4,940	123,428	5,911	155,166

კომპანიას არ გააჩნია მიწა და შენობა-ნაგებობები. სხვა ძირითადი საშუალებების შეფასება ხდება თვითღირებულების მეთოდით. ცვეთის დარიცხვის მეთოდი: წრფივი.

არამატერიალური აქტივები

კომპიუტერული საბუღალტრო
პროგრამა და ვებგვერდი

31 დეკემბერი 2022	3,742
შემოსვლა	-
გადაფასება	
გასვლა	-
31 დეკემბერი 2023	3,742
ცვეთა და გაუფასურება	
31 დეკემბერი 2022	(3,742)
პერიოდის ცვეთა	-
გასვლა	-
31 დეკემბერი 2023	(3,742)
წმინდა საბალანსო ღირებულება	
31 დეკემბერი 2022	-
31 დეკემბერი 2023	-

კომპანიის არამატერიალურ აქტივს წარმოადგენს კომპიუტერული საბუღალტრო პროგრამა, რომლის შეფასება ხდება თვითღირებულების მეთოდით. ცვეთის დარიცხვის მეთოდი: წრფივი.

შენიშვნა: 18

სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები

	2023	2022
სავაჭრო ვალდებულებები	1,210,613	1,115,532
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	16,484	363
სულ	1,227,097	1,115,895

სავაჭრო ვალდებულებების ძირითადი ნაწილს წარმოადგენს მოწოდებული საქონლის ღირებულება, რომლის დიდი ნაწილიც უცხოურ ვალუტაშია განსაზღვრული. ყოველი საანგარიშო პერიოდის ბოლოს ხდება აღნიშნული მუხლების გადაფასება.

შენიშვნა: 19

საგადასახადო ვალდებულებები

	2023	2022
საბიუჯეტო გადასახადი	(2,289)	(1,724)
ქონების გადასახადი	2,289	3,085
სულ	0	1,360

საბიუჯეტო გადასახადის ძირითად ნაწილს წარმოადგენს რეალიზაციაზე დარიცხული ღირებულება, რომლის გადახდის ვალდებულება დგება მომდევნო წლის დასაწყისში. ქონების გადასახადის გადახდის ვალდებულებაც დგება მომდევნო წელს.

შენიშვნა: 20**სესხები**

	2023	2022
ბანკის სესხი 27	0	199,223
ბანკის სესხი 29	55,728	177,448
ბანკის სესხი 30	0	147,104
სულ	55,728	523,775

სესხი 27 წარმოადგენს ბანკის სესხს (220000 EUR), რომელიც სრულად დაიფარა მიმდინარე წელს. სესხი აღებული იყო 16/03/2021-ში. წლიური საპროცენტო განაკვეთით 5.75%.

სესხი 29 წარმოადგენს ბანკის სესხს (65000 EUR), რომელიც აღებული იყო 22/11/2022-ში. წლიური საპროცენტო განაკვეთით 7.58%.

სესხი 30 წარმოადგენს ბანკის სესხს (51000 EUR), რომელიც სრულად დაიფარა მიმდინარე წელს. სესხი აღებული იყო 15/12/2022-ში. წლიური საპროცენტო განაკვეთით 6.2%.

შენიშვნა: 21**საწესდებო კაპიტალი**

კომპანიის საწასდებო კაპიტალი შეადგენს 11000 ლარს. წესდების მიხედვით კაპიტალის მესაკუთრეები უფლებამოსილი არიან მიიღონ დივიდენდი, ამასთან მათ ხმის უფლება აქვთ კომპანიის პარტნიორთა კრებაზე მათ საკუთრებაში არსებული კომპანიის წილის შესაბამისად. კომპანიის განაწილებადი რეზერვი შეზღუდულია გაუნაწილებელი მოგების ნაშთის ოდენობით, რომელიც ასახულია კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაში.

2023 წელს დამფუძნებლების მიერ საწესდებო კაპიტალის შემცირება ან გაზრდა არ მომხდარა.

შენიშვნა: 22**საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები**

საანგარიშგებო პერიოდის ბოლოდან მისი ხელმოწერის თარიღამდე არ მომხდარა მნიშვნელოვანი მოვლენები, რომლებიც შეიძლება აისახოს ამ ფინანსურ ანგარიშგებაში.

შენიშვნა: 23**დაკავშირებულ მხარეთა ოპერაციები**

საანგარიშგებო პერიოდში დაკავშირებულ მხარესთან ოპერაციები არ განხორციელებულა.

2023 წელს დირექტორსა და უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობაზე გაცემული ანაზღაურება შეადგენს **61211** ლარს.

შენიშვნა: 24**ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება**

დირექტორმა ფინანსური ანგარიშგება დაამტკიცა და მისი გამოცემის ნებართვა გასცა **2024 წლის 25 მარტს**.

უფლებამოსილი პირის ხელმოწერა:

დირექტორი:

სესხები

	2023	2022
ბანკის სესხი 27	0	199,223
ბანკის სესხი 29	55,728	177,448
ბანკის სესხი 30	0	147,104
სულ	55,728	523,775

სესხი 27 წარმოადგენს ბანკის სესხს (220000 EUR), რომელიც სრულად დაიფარა მიმდინარე წელს. სესხი აღებული იყო 16/03/2021-ში. წლიური საპროცენტო განაკვეთით 5.75%.

სესხი 29 წარმოადგენს ბანკის სესხს (65000 EUR), რომელიც აღებული იყო 22/11/2022-ში. წლიური საპროცენტო განაკვეთით 7.58%.

სესხი 30 წარმოადგენს ბანკის სესხს (51000 EUR), რომელიც სრულად დაიფარა მიმდინარე წელს. სესხი აღებული იყო 15/12/2022-ში. წლიური საპროცენტო განაკვეთით 6.2%.

შენიშვნა: 21

საწესდებო კაპიტალი

კომპანიის საწესდებო კაპიტალი შეადგენს 11000 ლარს. წესდების მიხედვით კაპიტალის მესაკუთრეები უფლებამოსილნი არიან მიიღონ დივიდენდი, ამასთან მათ ხმის უფლება აქვთ კომპანიის პარტნიორთა კრებაზე მათ საკუთრებაში არსებული კომპანიის წილის შესაბამისად. კომპანიის განაწილებადი რეზერვი შეზღუდულია გაუნაწილებელი მოგების ნაშთის ოდენობით, რომელიც ასახულია კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაში.

2023 წელს დამფუძნებლების მიერ საწესდებო კაპიტალის შემცირება ან გაზრდა არ მომხდარა.

შენიშვნა: 22

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის ბოლოდან მისი ხელმოწერის თარიღამდე არ მომხდარა მნიშვნელოვანი მოვლენები, რომლებიც შეიძლება აისახოს ამ ფინანსურ ანგარიშგებაში.

შენიშვნა: 23

დაკავშირებულ მხარეთა ოპერაციები

საანგარიშგებო პერიოდში დაკავშირებულ მხარესთან ოპერაციები არ განხორციელებულა.

2023 წელს დირექტორსა და უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობაზე გაცემული ანაზღაურება შეადგენს 61211 ლარს.

შენიშვნა: 24

ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

დირექტორმა ფინანსური ანგარიშგება დამტკიცა და მისი გამოცემის ნებართვა გასცა 2024 წლის 25 მარტს.

უფლებამოსილი პირის ხელმოწერა:

დირექტორი:

